პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 256 (4766)

1972 წ. 26 დეკემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან.



# „თბილისის წრის“ 22 ეტაპი

ამ სამი კვირის წინ თბილისის ქუჩებში გაიმართა მძლეოსნური ესტაფეტა — „თბილისის წრე“. ღონისძიება „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ 50 წლისთავს მიეძღვნა. მაშინ სტარტი ლენინის სახელობის მოედანზე მოეწყო. აქედან შეჯიბრებაში მონაწილე 24 გუნდის საუკეთესო წარმომადგენლებმა ესტაფეტა პუშკინის ქუჩით, ბარათაშვილის ხიდის, მტკვრის მარცხენა სანაპიროს, ქორწინების სახლის, პლეხანოვის პროსპექტის, ჩელიუსკინელთა ქუჩის, გმირთა მოედნის, ლენინის ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის გავლით ისევ ლენინის მოედანზე დააბრუნეს. 7000-მეტრიანი დისტანცია მაშინ 17 ეტაპად იყო დაყოფილი. ყველაზე კარგი დრო (20.10,0) ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა აჩვენეს.

ზუსტად სამი კვირის შემდეგ თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის თაოსნობით იმავე დისტანციაზე ისევ მძლეოსნური ესტაფეტა მოეწყო. ამჯერად „თბილისის წრე“ 22 ეტაპად დაიყო, შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი კი 50 კოლექტივმა გამოთქვა. ეს მეტისმეტად ბევრი იყო. ეტყობა, დედაქალაქის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის, დიდი საწარმო-დაწესებულების, პროფტექნიკური სასწავლებლისა და ტექნიკუმის, რაიონების ბავშვთა სპორტსკოლების ყველა კოლექტივს სურდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ ამ საინტერესო შეჯიბრებაში თასებსა თუ სიგელებს დაპატრონებოდა.

24 დეკემბრის სუსხიანი დილის მიუხედავად, სტარტი და ფინიში საზეიმოდ მოეწყოთ, სპორტული ალმები და ტრანსპარანტები დედაქალაქის ცენტრალურ მოედანს კიდევ უფრო ამშვენებდა.

სტარტამდე რამდენიმე წუთი დარჩა. პირველ ეტაპზე მოასპარეზენი მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ, ვ. ი. ლენინის ძეგლი გვირგვინით შეამკეს და საპატიო ყარაულში დადგნენ. ამით საბჭოთა სპორტსმენების სახელით მათ პატივი სცეს დიდი ბელადის ხსოვნას.

12 საათია. 50 ვაჟი სტარტზე მოეწყო. ბრძოლა გაჩაღდა. პუშკინის ქუჩის გაყოლებით მოწყობილ ეტაპზე, როგორც სამი კვირის წინ, ახლაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრი რ. არმეგონაშვილი დაწინაურდა, ოღონდ ახლა მას 550 მეტრი, წინანდელთან შედარებით 250 მეტრით ნაკლები ჰქონდა გასარბენი. არმეგონაშვილს ფეხდაფეხ მისდევდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, პოლიტექნიკური ტექნიკუმისა და უნივერსიტეტის მძლეოსნები.

მეტოქეთა ეს განლაგება მეორე ეტაპზეც უცვლელი დარჩა, მესამე ეტაპზე კი, რომელიც ბარათაშვილის ხიდიდან მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გასვლისთანავე იწყებოდა, ლიდერთა პირველი ცვლა მოხდა — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრმა ს. არტემიევმა შეძლო დაწინაურება. მეოთხე ეტაპზე ლ. მატიცინამ თანაგუნდელის მონაპოვარი უფრო მტკიცე გახადა. აქ, კინოთეატრ „ნაკადულთან“ მოწყობილი მეხუთე ეტაპის სტარტამდე, ლიდერებში ახალი გადანაცვლება მოხდა — მომავალ ინჟინრებს უნივერსიტეტის კოლექტივმაც გაასწრო, პოლიტექნიკურ ტექნიკუმს — 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლის პირველმა გუნდმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები მეტოქეებს ყოველ ეტაპზე თანდათან შორდებოდნენ და უკვე მარჯანიშვილის მოედანზე, სადაც მეცხრე ეტაპი იწყებოდა, II ადგილზე მყოფ უნივერსიტეტის კოლექტივს 150 მეტრს უსწრებდნენ. ამრიგად, დაწინაურებულთა გასწრება უკვე შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, II ადგილისთვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა და პლეხანოვის პროსპექტზე, 1 მაისის რაიონის მილიციის განყოფილებასთან (მეათე ეტაპის დასაწყისი), უნივერსიტეტის მძლეოსნებმა ისევ III ადგილზე გადაინაცვლეს — მათ მომავალმა ინჟინრებმა გაუსწრეს.

ესტაფეტა ჩელიუსკინელთა ხიდს მიუახლოვდა, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდებს შორის მანძილში სხვაობა 50 მეტრით შემცირდა. უნივერსიტეტმა ამდენივეთი დათმო II ადგილისთვის ბრძოლის პოზიცია. სამაგიეროდ, ეს სამი გუნდი სხვებს 150 მეტრზე მეტს უსწრებდა. მომავალმა ინჟინრებმა გმირთა მოედანთან (მეთოთხმეტე ეტაპის დასაწყისი) სხვაობა ცოტა კიდევ შეამცირეს, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს და უკვე რუსთაველის პროსპექტზე, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციასთან მოწყობილ მეცხრამეტე ეტაპზე, ლიდერს მთელი 200 მეტრით ჩამორჩნენ. დარჩენილ ეტაპზე მომავალმა ინჟინრებმა მდგომარეობა მხოლოდ ერთგვარად გამოასწორეს — სხვაობა 100 მეტრამდე შეამცირეს.

ფინიშთან ესტაფეტა პირველმა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (შ. ჯაბიშვილი, ბ. მექვაბიშვილი, ს. არტემიევი, ლ. მატიცინა, ჯ. ესებუა, ს. ქოვაიკინა, თ. ჩიტაძე, ა. გერესელიძე, ტ. ივანოვა, ა. გედევანიშვილი, გ. ტუკვაძე, ა. ბოლგოშვილი, ფ. მეგრელაძე, შ. მოშიაშვილი, მ. ქათამაძე, ე. ივანოვა, გ. სავიჩევი, მ. ალიაკრინსკაია, ვ. ვეშაგურიძე, ს. შადრინა, გ. გუნჩინი, ნ. ზავრაშვილი) მიიტანა. მან 7000 მ 19 წუთსა და 4,8 წამში დაფარა, წუთითა და 5,2 წამით სწრაფად, ვიდრე სამი კვირის წინ. II ადგილზეა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი — 19.29,0, III კი უნივერსიტეტის გუნდი — 19.43,0.

ფინიშთან მეოთხე იყო II ჯგუფის წარმომადგენელი სპორტსმენი — 49-ე პროფტექსასწავლებლის მძლეოსანი. და, სწორედ ამან გამოიწვია დავა: რამდენად სამართლიანი იყო ამ გუნდის IV ადგილი. გაირკვა, რომ 49-ე პროფტექსასწავლებლის გუნდს უპატიოსნო გზით წარმატების მოპოვება მოუნდომებია, ზოგიერთ ეტაპზე არ ურბენია და შეჯიბრება ბოლო ეტაპებზე გაუგრძელებია. ეს გუნდი შეჯიბრებიდან სამართლიანად მოიხსნა.

ამრიგად, დღის მეოთხე შედეგი (20.26,0) პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდმა აჩვენა და ტექნიკუმებისა და პროფტექსასწავლებლების კოლექტივების ტურნირში გამარჯვება დაისაკუთრა. ამ ჯგუფში II ადგილზე გავიდა მე-6 პროფტექსასწავლებელი — 21.53,0, ხოლო III — მწვრთნელთა სკოლა — 21.56,0.

III ჯგუფის გუნდებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლის პირველი კოლექტივი — 20.34,0, ორჯონიკიძის რაიონის სპორტსკოლის პირველი გუნდი — 21.18,0, კიროვის რაიონის სპორტსკოლის პირველი ნაკრები — 21.48,0.

IV ჯგუფში საპრიზო სამეული ასეთია: დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბი „განთიადი“ — 22.42,0, აბრეშუმის ფაბრიკა — 24.40,0, საავეჯო გაერთიანება — 24.54,0.

ჯგუფებში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის სპეციალური პრიზები. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ესტაფეტაში აბსოლუტურად საუკეთესო დროის ჩვენებისთვის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სპეციალური პრიზიც მიიღო.

რ. მაღრაძე.

• • •

სურათზე: შეჯიბრების პირველი ეტაპის მონაწილენი მიემართებიან ლენინის ძეგლის გვირგვინით შესამკობად.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ღირსეული ჯილდო

საზეიმო განწყობილება სუფევდა ამ დღეებში საქართველოს კომკავშირის სახელობის კულტურის სახლში. აქ ჩატარდა საქსპორტვაჭრობის მუშაკთა საზეიმო საღამო, რომლის მიზეზიც იყო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად კოლექტივის დაჯილდოება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. თოხაძემ საპატიო სიგელი საქსპორტვაჭრობის დირექტორს ა. პაიჭაძეს გადასცა.

## რიგერტის მსოფლიო რეკორდები

სოჭი, 24 დეკემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშებას დღეს აურაცხელი მაყურებელი დაესწრო — ფიცარნაგზე საშუალო წონის ძალოსნები გამოდიოდნენ. ცხადია, ყველა მოუთმენლად ელოდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის დ. რიგერტის ასპარეზობას, რომელიც ქვემძიმე წონიდან საშუალოში გადავიდა.

25 წლის შახტელმა ჩვინკალმა მაყურებელთა და სპეციალისტთა მოლოდინი არ გააწბილა: მან დედამიწის ძალოსანთა შორის პირველმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი ორჭიდში — 355 კგ (155+200). მეოთხე, დამატებითს ცდებზე რიგერტმა 160 კგ აიტაცა და 201 კგ აჰკრა, რაც ასევე მსოფლიო რეკორდებია (საკდესის მიზეზით ჩვენ წინა ნომერში შეცდომა გაგვეპარა: დონეცკელმა ვ. მიხაილოვმა გაიმარჯვა არა საშუალო წონაში, არამედ ქვესაშუალოში. — რედ.).

რეკორდების ანგარიში გახსნა 24 წლის ვ. რიჟენკოვმა, რომელმაც აწევაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 159,5. ამ შედეგმა, რომელმაც სულ რამდენიმე წუთს გაძლო, მოსკოველ ათლეტს ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოუტანა აღნიშნულ მოძრაობაში. ორჭიდში რიჟენკოვი მესამე იყო — 347,5. იგი მინსკელ ვ. შარიისაც ჩამორჩა — 350 კგ.

მთავარია არა თვით რეკორდები, არამედ ის, რომ რიგერტმა, რომელიც ასე განიცდიდა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში წარუმატებლობას, ფსიქოლოგიური ზღუდე გადალახა და უწინდებური სიმტკიცე დაიბრუნა.



სურათზე: დ. რიგერტი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### მცირე კალათბურთი დიდ სასახლეში

ლიტვის დედაქალაქის ახალ სპორტის სასახლეში მოეწყო საინტერესო შეხვედრა საგანგებოდ დაპატარავებულ მოედანზე. სარბიელზე გამოვიდნენ „იუნოსტი“ და „ნადეჟდა“: თამაშობდნენ ვილნიუსის ბავშვთა კალათბურთის სკოლის მოსწავლეები — 10-11 წლის ბიჭები.

იმ დღეს დაიწყო ლიტვაში დიდად პოპულარული მინი-კალათბურთის სეზონი. ეს თამაში ძალიან გავრცელებულია რესპუბლიკის ყველა სკოლაში, რაიონში, ქალაქში. გაზეთ „პიონერ ლიტვის“ თასზე ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობისთვის ათი ათასამდე ბავშვი ემზადება. ამ მასობრივი შეჯიბრების ფინალი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ტარდება.

მინი-კალათბურთისთვის გამოყოფილია საუკეთესო სპორტული ბაზები, მათ შორის, სპეციალურად მოწყობილი დარბაზები კაუნასში, კლაიპედაში, პანევეჟისში.

ამ თამაშის რესპუბლიკურმა ფედერაციამ შექმნა მინი-კალათბურთის საგანგებო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კაუნასის კალათბურთის სკოლის დირექტორი ი. ჟიტკიავიჩიუსი. სკოლის მუშაობას გაეცნენ კაუნასში მოწვეულთა კალათბურთის საკითხებზე გამართული საკავშირო თათბირის მონაწილენიც. მწვრთნელებს დიდ დახმარებას გაუწევს წარსულში ქვეყნის ნაკრების წევრის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ს. სტონკუსის წიგნი „მცირე კალათბურთი“, რომელიც ლიტვურ ენაზე გამოიცა.

ს. პაინტრაუსკასი.

ვილნიუსი.

### ფიზკულტურელები აშენებენ

ქარხანა „ტეპლოპრიბორის“ ფიზკულტურელებმა დიდი სპორტული კორპუსის გასაღები ჩაიბარეს. „ჯანმრთელობის საამქროს“ მუშა-მოსამსახურეები მთელი წლის განმავლობაში ყოველ შაბათ-კვირას, ხანაც ჩვეულებრივი ცვლის შემდეგ გამოდიოდნენ მშენებლობაზე.

ახალი ნათელი შენობა იქვე, ქარხნის გვერდითაა აღმართული. პირველი საწვრთნელი მეცადინეობები უკვე ჩაატარეს ქარხნის კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა, მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულებმა, შეიქმნება კიდევ რამდენიმე სექცია: კრივისა, ძალოსნობისა...

აქ ივარჯიშებენ საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა შვილებიც.

ი. ბუდაევი.

ულან-უდე.

## საჭელი მოგვითხრობს

## მძლეოსნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვრთნელთა „თეთრი ღამეები" თანამდებობათა კოლექციონერები რუსთაველი ფიგაროები

ქვეყანაზე უამრავი პროფესია არსებობს. კაცმა რომ თქვას, განა მნიშვნელობა აქვს, დიდ საქმეს ემსახურები თუ პატარას? მთავარია, თავად იყო კაცური კაცი, ნამუსის ქუდი გეხუროს, შენი შრომა შენვე გახარებდეს და სხვამაც კეთილი სიტყვით მოგიხსენიოს.

ასეთი, ცოტა არ იყოს, დიდაქტიკური შეგონებები ერთობ შორს წაგვიყვანდა. მაგრამ, გვერწმუნეთ, ზემოთ ნათქვამი სიტყვები ქარს არ გვინდა გავატანოთ, მით უმეტეს, რომ მათ პირდაპირი კავშირი აქვთ ჩვენს წერილთან.

რადგან პროფესიებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს სპეციფიკური სამსახური, ზოგი დღისით მუშაობს, ზოგი ღამით. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა მშრომელ კაცს განურჩევლად იმისა, დღე-ღამის რომელ ნაწილში უხდის იგი საზოგადოებას თავის მოქალაქეობრივ ვალს.

ქალაქი ღამით... როცა ყველას ტკბილად სძინავს, შავულვაშა მეპურეები გავარვარებულ თონეებთან ტრიალებენ, რომ სისხამ დილით გემრიელი ლავაში დაახვედრონ ხალხს. როცა ჩვენ გვძინავს, წუთითაც არ ხუჭავენ თვალს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მუშაკები. ჩვენს ტკბილ ძილს იცავს მილიცია... არიან ადამიანებიც, რომელთაც არ ასვენებთ ახალ გამოგონებებზე, სამეცნიერო ნაშრომებზე, ლექსებსა თუ მოთხრობებზე ფიქრი. ისინი უგულებელყოფენ ყველანაირ სამედიცინო რეკომენდაციებს და ღამეებს თეთრად ტეხენ. მათ მართლაც არ ჰყოფნით „ღვთის" მიერ ადამიანისთვის განკუთვნილი სამუშაო დროის ზღვარი. სახელი და პატივი ასეთ ფუტკარივით მუყაით, საყვარელი საქმისთვის თავგადადებულ ადამიანებს!

დღეს, სამწუხაროდ, სულ სხვა „გამომგონებლებზე" გვექნება საუბარი, რომლებიც თავისით, საკუთარი თაოსნობითა და ფანტაზიით „შეუერთდნენ" ღამით მომუშავე ადამიანთა კატეგორიას. მერე რა ვუყოთ, თუ კი ისინი სათოფეზე არ იკარებენ არა მარტო სამედიცინო რჩევა-დარიგებებს, არამედ ელემენტარულ მართლწესრიგისა და იურიდიულ კანონებს. მათზე ერთი ცნობილი ანდაზა ასე შეიძლება ითქვას: „დღე ქუდად არ მიაჩნიათ, ღამე ქალამნად".

წარმოიდგინეთ ქალაქი ღამით. სძინავს ქალაქს, საცხოვრებელი სახლები ბინდში ჩაძირულან. მხოლოდ სპორტული ბაზებია გაჩირაღდნებული. იქ ვარჯიშობენ კალათბურთელები და ფრენბურთელები, ხელბურთელები და ტანმოვარჯიშეები, ნიჩბოსნები და მოფარიკავეები... შუაღამე კარგა ხნის გადასულია. სძინავს ქალაქს და მხოლოდ ზოგიერთ რაიონში არღვევს სამარისებურ მყუდროებას სპორტსმენთა ჟრიამული. ასე გრძელდება თითქმის გარიჟრაჟამდე. ღამენათევი, უზომო ვარჯიშით არაქათგამოცლილი სპორტსმენები შინისკენ გასწევენ... მწვრთნელები კი, მწვრთნელები მუშაობას აგრძელებენ სხვა ჯგუფებთან. ასე გრძელდება მთელი დღე, მთელი ღამე, მხოლოდ წუთით თუ მოატყუებენ თვალს და კვლავ საყვარელ „სტიქიონს" უბრუნდებიან.

რაო? — გაეცინება მკითხველს, — ვერ დავიჯერებთ, ეგ საკენკი სხვას დაუყარეთო. არ გჯერათ? არც ჩვენ გვჯეროდა, რომ ქვეყნად არსებობენ ასეთი მწვრთნელები, მწვრთნელები კი არა, რვალისა და ფოლადისგან ნაწრთობი ადამიანები, არ გვჯეროდა, მაგრამ, როცა რუსთავის მწვრთნელთა მუშაობის ამსახველ მასალებს გავეცანით, იძულებული გავხდით დაგვეჯერებინა.

ახლა მარტივ არითმეტიკას მივმართოთ. როგორ გგონიათ, რამდენ საათს მუშაობენ დღე-ღამეში რუსთაველი მწვრთნელები? საშუალოდ 12-14 საათს, ზოგიერთი „რეკორდსმენი" კი ამასაც არ სჯერდება და „ჭერი" 16-17 საათამდე აჰყავს, თანაც, მუშაობას იწყებს დილის 8 საათზე.

მოდი და ნუ შეგეცოდებათ სპორტკლუბ „ფოლადის" ინსტრუქტორი ე. კაუფმანი, რომელიც დღეში საშუალოდ 8 საათს სპორტკლუბშია, სამ საათს განათლების განყოფილების სპორტულ სკოლაში, სამსაათნახევარს უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის ჯგუფს „აბედნიერებს" თავისი ყურადღებით, შედარებით ნაკლებ დროს — სულ რაღაც ორ საათს განათლების სამინისტროს უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჯგუფის სპორტსმენებს უთმობს. შეგეცოდება კი არა, კაუფმანის საცოდაობით დადნები კაცი, ყველაფერი სინამდვილეს რომ შეეფარდებოდეს. არა, დამშვიდდით, ასეთი რამ შეუძლებელია.

მაგრამ ვიდრე „დამამშვიდებელ" დასკვნას გამოვიტანდეთ, ჯერ სხვა მწვრთნელებიც ამოვუყენოთ კაუფმანს გვერდში. მაშინ საქმეს მეტი ნათელი მოეფინება. ასევე იფერფლებიან დღენიადაგ ოთხ-ოთხი სამსახურის ნელ ცეცხლს შეკედლებული კაუფმანის კოლეგები რ. ჯიბლაშვილი, ო. ხაზიზოვი, კ. კრავცოვი, კ. ნაჭყებია, ს. კრასიუკოვი, დ. ჩაჩანიძე, სამ-სამი სამსახური წამოიკიდეს ზურგზე ტვირთად გ. ურთმელიძემ, ა. ხალიზოვმა, გ. გრომოვმა, მ. პოგრებეცკიმ, ს. საკიანმა გ. ჩიტაძემ, მ. ქავთარაძემ, ა. ტრეტიაკოვმა, ა. ჩერნოუსოვმა, რ. ჭედიამ, გ. აბუაშვილმა და უამრავმა სხვამ.

ის, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, გახლავთ მორალური პროტესტი „ღამურა მწვრთნელთა" უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლირიკული წიაღსვლა. ჩვენი არგუმენტები უფრო სამართლიანი რომ გამოჩნდეს, ჩავხედოთ არსებულ შრომითს კანონმდებლობას. იგი ღაღადებს, ძირითადად ერთ ორგანიზაციაში მომუშავე პიროვნებას (ამ შემთხვევაში, მწვრთნელს) უფლება აქვს შეითავსოს სხვა ორგანიზაციაში კიდევ მთლიანი შტატის ნახევარი, თუ ამაზე ორივე ორგანიზაციის წერილობითი თანხმობაა.

რუსთავში ამ წესს ხელაღებით უარყოფენ. საკმარისია გამოიძებნოს მწვრთნელის ვაკანტური ადგილი და სპორტის მსახური აღარ დაგიდევთ, რამდენ სამსახურში მუშაობს — სპორტის „სიყვარულით", უფრო სწორად, სიხარბითა და ანგარებით აღვსილი, დამატებით კიდევ ერთ სამსახურზე აცხადებს პრეტენზიას და როგორ გგონიათ, ახერხებს კიდეც მის მიღებას — სხვათა შორის, ორგანიზაციათა სათანადო შეთანხმებისა და მიმოწერის გარეშე. ასე დაუგროვდათ რუსთაველ მწვრთნელებს თანამდებობათა კოლექცია (ყოველი მათგანი რუსთავის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეუთანხმებლად მოქმედებდა).

ახლა, როცა კანონის დახმარებით ჭეშმარიტება დავადგინეთ, მივხედოთ საკითხსაც, რომელიც ზემოთ ღიად დავტოვეთ. შესაძლოა მკითხველმა არაერთგზის „მინიშნების" მიუხედავად, მაინც იფიქროს, იქნებ ეს ხალხი (მწვრთნელები, რა თქმა უნდა) ღამღამობით მაინც მუშაობს და რული არ ეკიდება. რას ამბობთ, რა სათქმელია! ამ ვაი-მწვრთნელებს ძილითაც ტკბილად სძინავთ და, ალბათ, ესიზმრებათ, როგორ უხდის მოლარე მათ გასამრჯელოს არარსებული ვარჯიშის საათებისთვის, ესე იგი, ფულს ისინი ფაქტიურად ტკბილი ძილისთვის იჯიბავენ. ეს სავსებით უნიკალური შემთხვევაა და, ვფიქრობთ, მომავალშიც გააგრძელებენ მის მეცნიერულ შესწავლა-გამოკვლევას.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქალაქში ბაზების სიმცირის გამო წარმოუდგენელია ბევრი სამსახურის მოყვარულმა მწვრთნელმა ამდენსაათიანი ვარჯიშის ჩატარება შეძლოს.

კეთილი და პატიოსანი, როგორც იქნა, შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ სამსახურის უსაზღვროდ მოყვარულ მწვრთნელთა მოღვაწეობა. ახლა ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მწვრთნელთა ერთი ჯგუფისთვის დამთავრდება გაჭიანურებული „თეთრი ღამეები", შემცირდება მათი სამსახურებრივ მოვალეობათა „მდიდარი კოლექცია", აღარავინ დაუძახებს მათ რუსთაველ ფიგაროებს, რომლებსაც ერთი ფეხი დღეში რომ აქვთ, მეორე ღამეში უდგათ.

თ. გაჩეჩილაძე,
ა. გოგელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რუსთავი.

# სპორტული ნაკვერჩხალი ენგურის ნაპირებზე

## აკაკიც დასწრებია

ჯვარელებს ოდითგანვე მოსდგამთ სპორტისადმი სიყვარული. როგორც იმდროინდელი სამეგრელოს ყველა კუთხეში, ლელოს იქაც გატაცებით თამაშობდნენ. შეჯიბრება იმართებოდა ცოლიანებსა და უცოლოებს შორის. გადმოცემით, ეს სანახაობა განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო ჯარალუაზე (რელიგიურ დღესასწაულზე). უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად იბრძოდნენ სხვადასხვა უბნის ლელობურთელთა გუნდები. ჯვარელთა სპორტულ თამაშებს დასწრებია დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი, რომელიც 1895 წელს ჯვარში გათხოვილი დისწულის ანეტა დადიანი-დადეშქელიანის სანახავად ჩასულა. ჯვარელი მხედრების სიმარჯვეს და ოსტატობას აკაკისთვის დიდი სიამოვნება მიუნიჭებია.

## ენთუზიასტები

დღეს გიგანტური ენგურჰესის მშენებელთა დაბის სპორტული ცხოვრება მხრებს შლის. ამ საქმეს დიდი სიყვარულით და მონდომებით ემსახურებიან დაბის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლები კ. მატუა და ა. ქარდავა.

ჯვარში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ემსახურება გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობასთან შექმნილი სპორტსკოლა, სადაც 210 მოსწავლეა. სპორტსკოლამ უკვე გარკვეული წარმატებები მოიპოვა. ამას მოწმობს სკოლის ფიზკულტურელთა მიერ რაიონულ შეჯიბრებებში მოპოვებული თასები და სიგელები. რეგულარულად მუშაობს ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, ტყვიის სროლის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სექციები. სკოლა უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, ფორმებით. ეს კოლმეურნეობის გამგეობის ზრუნვის შედეგია. ნაყოფიერად მუშაობს კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელშიც 147 კაცია გაერთიანებული. კოლმეურნეობაში ხშირად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. უკანასკნელ სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი და ტყვიის სროლა, ჩემპიონობა მე-3 ბრიგადის წევრებმა მოიპოვეს. წარმატებას მიაღწიეს კოლმეურნეობის ფიზკულტურელებმა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პირველ რაიონულ სპარტაკიადაში, სადაც III საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

მაგრამ სასაყვედურო ჯვარელებსაც აქვთ. აქ დღემდე ვერ მოგვარდა ფეხბურთის მინდვრის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნების, მძლეოსნური სექტორების მოწყობის საკითხი. სპორტული ღონისძიებები ტარდება სკოლების ბაზებზე. კოლმეურნეობისთვის სტადიონის აგება ენგურჰესის მშენებლებმა იკისრეს. საქმე დაიწყო, მაგრამ დამთავრება არ ეღირსა, შეფების დაპირება დაპირებად რჩება.

## ოქროსა და ვერცხლის ნიშნოსნები

ჯვარელებმა სწორად გაიგეს პარტიისა და მთავრობის დადგენილება მშდ ახალი საკავშირო კომპლექსის თაობაზე. მოსამზადებელი სამუშაოები დროულად გაიშალა. თვალსაჩინო ადგილებზე გაიკრა ლოზუნგები და პლაკატები, შედგა ასაკობრივი სიები. სისტემატურად ვარჯიშობდნენ ნორმატივების ჩაბარების მსურველნი. დადგა ჩაბარების დღეც. 28 ნოემბერს დაბის მე-2 საშუალო სკოლის სპორტულ ბაზებზე სპეციალური კომისია დილიდანვე შეუდგა კომპლექსის ნორმატივების მიღებას. შეჯიბრების პროგრამაში იყო სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ხელყუმბარის ტყორცნა, რბენა 60, 100 და 400 მეტრზე. სტარტზე დადგნენ გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, გამგეობის წარმომადგენლები, სადაბო საბჭოს მუშაკები. ნორმატივების ჩაბარების სურვილი გამოთქვა კოლმეურნეობის მეკუჭნავემ, 66 წლის რ. უბილავამ. იგი ადგილიდან 180 სმ სიგრძეზე გადახტა. მოწინავე კოლმეურნე ტ. შამუგიამ 400 მეტრის გარბენას 2.37,0 მოანდომა და ნორმატივი ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ჩააბარა. კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი რ. ჭანტურია 140 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადახტა, ხოლო 100 მ 13,5 წამში გაირბინა. კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. სალიამ ოქროს სამკერდე ნიშანი დაიმსახურა ხელყუმბარის ტყორცნაში.

ნორმატივების ჩაბარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ქანთარიამ. მან IV საფეხურის ზოგიერთი ნორმატივი ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

წარმატებით გამოვიდნენ, აგრეთვე, კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ე. ფიფია, ეკონომისტი ბ. ციმინტია, კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ციმინტია, სადაბო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. აკობია, კოლმეურნე ვ. ფიფია, შოფერი მ. შონია...

ო. სალია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხის რაიონი.

• • •

სურათებზე: სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ქანთარია ემზადება სიგრძეზე ხტომისთვის; აგრონომი რ. ჭანტურია სიმაღლეზე ხტომის დროს.

ა. ყუფუნიას ფოტოები.





# „გამეორება ცოდნის დედაა"



მშდ ახალი კომპლექსის შესწავლის და ანალიზს ბევრგან არ მიაქციეს დროულად ყურადღება. სწორედ ამან დააყენა დღის წესრიგში კომპლექსის ორგანიზაციის საკითხებზე სპეციალური კურს-სემინარის ჩატარება.

ამ კარგი ღონისძიების მოწყობა თბილისის ფიზკულტურის კომიტეტმა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დირექციამ ითავეს. სამდღიან კურს-სემინარზე მიწვეული იყვნენ ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, ფიზკულტურის კოლექტივების ინსტრუქტორ-მეთოდისტები, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. დოკვაძემ, ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ა. რატიამ, თბილისის ფიზკულტურის დისპანსერის მთავარმა ექიმმა, დოცენტმა ზ. თელიამ თავიანთ ლექციებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მშდ კომპლექსის მიზანსა და ამოცანებს, მის დიდ მნიშვნელობას მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის იდეურ, შრომითსა და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში. განზოგადებული იქნა, აგრეთვე, აღრიცხვიანობისა და მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა წლიური ანგარიშის ფორმებში შეტანის თავისებურებები. ლექტორებმა ამომწურავი პასუხები გასცეს სემინარის მონაწილეთა შეკითხვებზე.

ამ სასარგებლო თაოსნობას რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც უნდა გამოეხმაურონ.

თ. თენგოშვილი.

[illegible]

### ზესტაფონი

მე-3 საშუალო სკოლაში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. ხელბურთსა და ფრენბურთში უძლიერესის სახელი მოიპოვეს $X^2$ კლასის მოსწავლეებმა, კალათბურთში — $IX^2$, ხოლო ფეხბურთში — $IX^1$ კლასების წარმომადგენლებმა.

ა. განუგრავა.

# მეტოქეები და შედეგები

**ნონა გაფრინდაშვილი ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV გათამაშების შესახებ**

იუგოსლავიის აგარაკი ვრნიაჩკა-ბანია კარგად არის ცნობილი ჭადრაკის სამყაროში. აქ ტრადიციად იქცა ევროპის მოჭადრაკე ქალთა თასის გათამაშება. ამ აგარაკის მესვეურნი დიდ ტურნირებს უწინაც მასპინძლობდნენ. ერთ-ერთში — პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირში—მსოფლიო ჩემპიონ ბიკოვასთან მატჩის თამაშის უფლება მოვიპოვე. როგორც მუდამ, შეჯიბრება წლეულსაც საუცხოოდ იყო ორგანიზებული.

როგორც იცით, სათამაშოდ ცხრა ქვეყნის 12 მოჭადრაკე ჩავედით. სსრ კავშირიდან მე და ნანა ალექსანდრია ვიყავით. მსგავს ტურნირში ნანა მეორედ თამაშობდა, მე კი მესამედ. ორივე თითო თასის მფლობელი ვიყავით: მე პირველის, ნანა — მეორისა. მონაწილეთა შორის იყო მესამე თასის პატრონიც — უნგრელი ჟუჟა ვერეცი. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ ტურნირს ინტერესი შემატა.

ბრძოლა დაძაბული იყო. მე „ლელოს" ფურცლებზე გზადაგზა გიამბობდით მის მსვლელობაზე. სპორტული შედეგები კარგად ჩანს აქ მოყვანილ ცხრილში. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ თასისთვის ძირითადი ჭიდილი ფინიშზე გაიმართა. სტარტზე დაწინაურებული ვერეცი ერეტოვამ შეაჩერა და მე წამოვეწიე, მერე კი თასის ბედი ჩვენს შეხვედრაში გადაწყდა.

მხოლოდ შვეიცარიელი კლარა ვეტშტაინის ოსტატობა თუ ჩამოუვარდებოდა ტურნირის მონაწილეთა საერთო ძალას. მან მხოლოდ ტიმერთან გააკეთა ყაიმი. ეს ჰოლანდიელი მოჭადრაკე ხშირად თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ თვალსაჩინო წარმატებებისთვის ჯერ არ მიუღწევია. ჩვენი ტურნირის მთავარი ფავორიტებიდან ტიმერმა მხოლოდ ნანასთან შეძლო ყაიმის მიღწევა.

პოლონელი ერენსკა უკეთესი მოჭადრაკეა, ვიდრე მისი შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. ვრნიაჩკა-ბანიის ტურნირი მისთვის ზედიზედ მეოთხე შეჯიბრება იყო. მანამდე ერენსკამ საუცხოოდ ითამაშა ქალთა ოლიმპიადაში, მერე მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში მონაწილეობდა. თავადაც თქვა, გადავიღალეო.

მომეწონა მერლინის თამაში. 1970 წელს იგი თბილისში გვეწვია ჩვენს ქალთა საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. მაშინ მისმა პარტიებმა ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა. ახლა უფრო მარჯვედ იბრძოდა. მიღწევად უნდა ჩავუთვალოთ ყაიმები ალექსანდრიასთან და ერეტოვასთან.

სხვათა შორის, მერლინი იუგოსლავიელია, მაგრამ პარიზში ცხოვრობს. საქვეყნოდ სახელგანთქმულმა იუგოსლავიურმა ჟურნალმა „ინფორმატორმა" საფრანგეთის დედაქალაქში საჭადრაკო კლუბი გაუხსნა. მერლინი იქ ავრცელებს „ინფორმატორს", ჭადრაკს პოპულარიზაციას უწევს. მაგალითად, პარიზელები სიამოვნებით ესწრებოდნენ კლუბში საბჭო — ფიშერის მატჩის პარტიების დემონსტრაციას.

რა თქმა უნდა, მეტი იყო მოსალოდნელი თბილისელებისთვის კარგად ცნობილი მოჭადრაკის ჰენრიკა კონარკოვსკა-სოკოლოვასგან. იგი იუგოსლავიის ერთ-ერთი მოწინავე ოსტატია. ვრნიაჩკა-ბანიაში ჰენრიკა ბავშვით ჩამოვიდა. მისი მეუღლე, ოსტატი ვლადიმერ სოკოლოვი გამოჩენილი თეორეტიკოსია, მაგრამ ტურნირს ვერ დაესწრო. ასე რომ, ხელშემშლელის მაგიერ კონარკოვსკას ხელმძღვანელი ჰყავდა. ბავშვი ვერავის დავუტოვეო, იმართლებდა თავს. ჰენრიკამ პარტია ვერც ერთ ძლიერ მეტოქეს ვერ მოუგო.

ჭადრაკის სამყარო კარგად იცნობს ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონს კვეტა ერეტოვას. მას თბილისშიც უთამაშია. ერეტოვა განსაკუთრებით ძლიერია თეთრი ფიგურებით. ეს ვრნიაჩკა-ბანიაშიც დადასტურდა. ოღონდ, როგორც უწინ, ახლაც ცაიტნოტი უშლიდა ხელს. ჩანს, მოჭადრაკე ამ სენისგან იოლად ვერ განიკურნება.

ბევრისთვის უცნობი იყო იუგოსლავიელი ანჟელიკა პიხაილიჩი. ამ 25 წლის მოჭადრაკემ სტარტზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ლიდერთა ჯგუფშიც მოხვდა. მე და ნანამ ვერ ვაჯობეთ, პოლიქრონიადეს დანებებაც კი მოუხდა.

პიხაილიჩი ტურნირში მილუნკა ლაზარევიჩის მაგიერ მიიწვიეს. მართალია, იგი ჯერ არ შედის იუგოსლავიის მოწინავე მოჭადრაკე ქალთა ჯგუფში, მაგრამ პერსპექტიული ოსტატი ჩანს. ფინიშზე დაღლილი რომ არ ყოფილიყო, ალბათ მოწინავე ადგილების განაწილებაში კორექტივებს შეიტანდა.

თასის შარშანდელ გათამაშებაში პოლიქრონიადემ პირველი სამი ადგილი გაიყო ვერეცისა და ივანკასთან. ახლაც ურიგოდ არ ითამაშებდა, ავად რომ არ გამხდარიყო, გაცივდა, თუმცა წლევანდელი ვრნიაჩკა-ბანია უთოვლოდ შეგვხვდა. ჩემი აზრით, მარტო ეს არ არის მიზეზი. მალე პოლიქრონიადე მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში უნდა ჩაებას. ამიტომ თან ორი ჩემოდანი საჭადრაკო ლიტერატურა ჩამოიტანა და თავისუფალ დროს მეცადინეობდა.

სხვათა შორის, ერთი ზონალური ტურნირი უკვე გაიმართა ბულგარეთში. იქიდან საზონათშორისო ტურნირში გავიდნენ რუმინელები ნიკოლაუ და ბაუმშტარკი, უნგრელები ვერეცი და კარაკაში.

ზონალურ ტურნირში ითამაშებს მარია ივანკაც. მისთვის ჩვენი ტურნირი საუცხოო წვრთნა იყო. მარია მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ სერიოზული, მუყაითი მებრძოლია. ტურნირში ბევრი უიმედო პოზიცია გადაარჩინა. ეს მისი შეუპოვრობით უნდა ავხსნათ. ყველა პარტიას უდიდესი მონდომებით თამაშობს. მთელი პარტიის მანძილზე, ესე იგი ხუთი საათის განმავლობაში, ერთხელაც არ ტოვებს მაგიდას, უიმედო პოზიციაშიც არ კარგავს სულიერ სიმშვიდეს. ასე იყო ნანასთან შეხვედრაში. ივანკამ სრულიად უიმედო პოზიცია მიიღო, მაგრამ თამაშს განაგრძობდა. ერთ მომენტში ალექსანდრიამ ყურადღება მოადუნა და მარიამ პოზიცია თითქმის გამოასწორა. ნანას მოგებული პარტიის მოგება თავიდან დასჭირდა. უნგრეთში ივანკა პირველ მოჭადრაკედაა აღიარებული და სავსებით სამართლიანად.

ბოლო დროს თვალსაჩინოდ დაწინაურდა ჟუჟა ვერეცი. იგი 23 წლისაა და ძალიან პრაქტიკული მოჭადრაკე ჩანს: ძლიერ მეტოქეებს სიამოვნებით უთანხმდება ყაიმზე. მათ, ვინც სუსტ მეტოქედ მიაჩნია, მოგებაზე ეთამაშება, მაგრამ, როცა ძლიერთან გარდუვალი ბრძოლა უწევს, გამომგონებლურად თამაშობს. დავაკვირდი: ჟუჟას არც ერთი წასაგები პოზიცია არ მიუღია, ჩემთან პარტიას თუ არ ჩავთვლით. პოზიციას ობიექტურად აფასებს. ვერეცი კარგი მომავლის მქონე მოჭადრაკეა. მისი მონაწილეობა საზონათშორისო ტურნირში საინტერესო იქნება.

ცხადია, თასისთვის ბრძოლაში ჩემი და ნანას მთავარი მეტოქეები უნგრელი ოსტატები იყვნენ. ჩვენი პაექრობა, როგორც აღვნიშნე, ბოლომდე გაგრძელდა.

ნანა თავისი შედეგით უკმაყოფილო არ უნდა იყოს: მას ხომ წელიწადია არსად უთამაშია. ბევრს ეს ალბათ აფიქრებდა, მით უმეტეს, რომ გაისად ნანამ საზონათშორისო ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ალექსანდრიამ მყისვე აუღო ალღო ბრძოლას. მართალია, ყველა პარტიაში ვერ გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი ძალა, უნარი, მაგრამ წაუგებლად განვლო ტურნირი და დაიკავა ის ადგილი, რაც მის დღევანდელ სპორტულ ფორმას გამოხატავს.

აი, როგორ სძლია ნანამ პოლიქრონიადეს. ეს ტურნირის ერთ-ერთი საუცხოო პარტიაა (იხ. ქვევით).

საკუთარი შედეგით კმაყოფილი ვარ. ეს იმიტომ, რომ ჩემთვის კარგად წარმართული წლევანდელი საჭადრაკო წელი წარმატებით დავასრულე.

რა შემიძლია ვთქვა ჩემს თამაშზე? უმრავლეს პარტიაში ენდშპილისკენ მივილტვოდი. ასე ვეთამაშე ვერეცის, ერეტოვას, ტიმერს, ერენსკას. მსიამოვნებდა ენდშპილის ლოგიკა, მისი მრავალფეროვნება და სიზუსტე.

აი, ამ ყაიდის ერთ-ერთი პარტია (იხ. ქვევით).

იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ცაიტნოტში არც ერთხელ არ მოვქცეულვარ. ვთამაშობდი თავისუფლად, იოლად.

ტურნირის დროს მეგობრული ატმოსფერო სუფევდა. მე და ნანას საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი გვახლდა.

მასპინძლებმა დაგვასაჩუქრეს ვაჟთა XX და ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადისადმი მიძღვნილი წიგნით, რომელიც ახლახან გამოიცა. წიგნში ბევრი პარტია და ფოტოსურათია დაბეჭდილი.

დასვენების დღეს ორგანიზატორებმა ქალაქ ტერსტენიკში მიგვიწვიეს, სადაც ადგილობრივმა საჭადრაკო კლუბმა ბლიცტურნირში მიგვაღებინა მონაწილეობა. როგორც გადმოგეცით, მე და ნანამ წარმატებით ვითამაშეთ.

ოთხი დღე ბელგრადში დავყავით, სადაც ჭადრაკის ქომაგებს შევხვდით. იუგოსლავიაში ძალიან უყვართ ჭადრაკი და, ცხადია, მისი მსახურნიც. ამ ქვეყანაში მოჭადრაკეების კარგი მასპინძლობა იციან.

ვესაუბრე მილუნკა ლაზარევიჩს. მან მაცნობა, რომ ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციამ სურვილი გამოთქვა გაისად მაისში გამართოს მოჭადრაკე ქალთა საინტერესო ოთხწრიანი მეგობრული მატჩი: სსრ კავშირი — ევროპის ქვეყნების ნაკრები. თითოეულ გუნდში 10 ძირითადი და 2 სათადარიგო მოთამაშე იქნება. ამ შეჯიბრების საკითხს მალე სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია განიხილავს.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ნ. გაფრინდაშვილი ახალი თასით.

მ. ზარგარიანის ფოტო.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. გაფრინდაშვილი სსრკ | 1 | | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 | I |
| ნ. ალექსანდრია სსრკ | 2 | ½ | | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 8 | II-IV |
| ჟ. ვერეცი უნგრეთი | 3 | 0 | ½ | | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 8 | II-IV |
| მ. ივანკა უნგრეთი | 4 | ½ | 0 | 0 | | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 8 | II-IV |
| ე. პოლიქრონიადე რუმინ. | 5 | ½ | 0 | ½ | ½ | | 1 | 0 | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | 6½ | V |
| კ. ერეტოვა ჩეხოსლ. | 6 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | 5½ | VI-VII |
| ა. პიხაილიჩი იუგოსლ. | 7 | ½ | ½ | 0 | 0 | 1 | ½ | | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | 5½ | VI-VII |
| ჰ. კონარკოვსკა იუგოსლ. | 8 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | | 1 | 1 | ½ | 1 | 4 | VIII-IX |
| მ. მერლინი საფრან. | 9 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | | 1 | 0 | 1 | 4 | VIII-IX |
| ა. ერენსკა პოლონ. | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | | 1 | 1 | 3½ | X-XI |
| მ. ტიმერი ჰოლან. | 11 | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | | ½ | 3½ | X-XI |
| კ. ვეტშტაინი შვეიც. | 12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | | ½ | XII |

**ე. პოლიქრონიადე — ნ. ალექსანდრია**

ალიოხინის დაცვა

1. e4 მf6 2. მc3 d5 3. ed მ:d5 4. ლf3 e6 5. მ:d5 ed 6. d4 კe6 7. კd3 მc6 8. c3 ლd7 9. მe2 0—0—0 10. კb5 h6 11. კf4 ეe8 12. h3 კf5 13. 0—0—0 კe4 14. ლg3 a6 15. კd3 მa5 16. ეhe1 მc4 17. მფb1 კa3 18. კ:e4 ე:e4 19. b3 ეhe8 20. bc ე:e2 21. ე:e2 ე:e2 22. ლd3 ე:f2 23. ეd2 dc. თეთრები დანებდნენ.

**ნ. გაფრინდაშვილი — კ. ერეტოვა**

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კ:c6 dc 5. 0—0 ლd6 6. d4 ed 7. მ:d4 c5 8. მb3 ლ:d1 9. ლ:d1 კd7 10. კf4 0—0—0 11. მc3 მf6 12. კg5 ეe8 13. კ:f6 gf 14. მd5 ეe6 15. მd2 h5 16. f3 f5 17. ef ეe5 18. მc4 ე:f5 19. f4 ე:d5 20. ე:d5 კe6 21. ეhd1 კ:d5 22. ე:d5 f6 23. მფf2 b5 24. მd2 c4 25. მe4 კe7 26. მg3 h4 27. მf5 კf8 28. მფf3 h3 29. g4 c6 30. ეd2 მფc7 31. მფe4 ეg8 32. მd4 კd6 33. მფf5 მფd7 34. მe6 მფe7 35. ეe2 მფf7 36. g5 fg 37. fg ეe8 38. g6+ მფg8 39. ეd2 კb8 40. მფf6 a5 41. ეd7 კ:h2 42. ეg7+ მფh8 43. მფf7. შავები დანებდნენ.

# მიხეილ ტალის აზრით

20 დეკემბერს ბაქოში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატი. საკდესის კორესპონდენტმა ამ შეჯიბრებაზე აზრის გამოთქმა სთხოვა ქვეყნის პირველობის ოთხგზის ჩემპიონს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, დიდოსტატ მიხეილ ტალს.

— ამ ბოლო ხანს ძალიან გავრცელდა შეჯიბრების მონაწილეთა დაყოფა ახალგაზრდებად და გამოცდილებად, — თქვა ტალმა. — ბაქოში, შეიძლება ითქვას, მე პირველად გამოვედი ვეტერანის როლში. მით უფრო მსიამოვნებს, რომ შეჯიბრებაში ტონს, ჩემი აზრით, უფროსი თაობის წარმომადგენლები იძლეოდნენ.

ჩემპიონატის მსვლელობაზე არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა იმ გარემოებას, რომ იგი სამ მონაწილეს საზონათშორისო ტურნირის საგზურს აძლევდა. მნიშვნელოვანწილად ამანაც განაპირობა დიდი სხვაობა გამარჯვებულსა (იგი პერსონალურად იყო მიწვეული ზემოხსენებულ ტურნირში სათამაშოდ) და დანარჩენ პრიზიორებს შორის.

ახალგაზრდებიდან მინდა განსაკუთრებით გამოვყო კუზმინი და მუხინი. ჩემპიონატის დებიუტანტი მუხინი, რომელმაც ერთბაშად ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ზოგჯერ ისეთ იერიშს უმკლავდებოდა, რასაც ალბათ ბევრი უფრო გამოცდილი მოჭადრაკე ვერ გაუძლებდა. კუზმინი ძალიან თავისებური, მწვავე თამაშით გამოირჩევა. სტარტამდე მუხინს ცოტა ვინმე ასახელებდა შესაძლებელ პრიზიორთა რიცხვში, მაგრამ კუზმინი პირადად მე ჯილდოს ერთ-ერთ სავარაუდო პრეტენდენტად მიმაჩნდა.

ტურნირი ძალიან ძნელი და დაძაბული გამოდგა. შეიძლება ამითაც ავხსნათ ზოგიერთი ვეტერანის წარუმატებლობა. კერძოდ, ამით აიხსნება ბრონშტეინის შედეგი, რაც არასგზით არ შეესაბამება ამ მოჭადრაკის ოსტატობის დონეს. მოსკოველმა ბევრ შეხვედრაში საინტერესო, ღირსეული გამარჯვება მოიპოვა, რომელთაგანაც თითოეული ჭადრაკის თავისებურ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს. სავონზე, როგორც ჩანს, ჩემპიონის ტიტული მოქმედებდა. თავიდან იგი შებოჭილად თამაშობდა და მხოლოდ ენერგიულმა ფინიშმა გადაარჩინა. ამავე დროს, ვასიუკოვმა და ლეინმა, რომლებიც საზონათშორისო ტურნირის საგზურებზე პრეტენზიას აცხადებდნენ, შეჯიბრების დასკვნითს სტადიაში საგრძნობლად დათმეს პოზიციები.

ტუკმაკოვმა საკავშირო ჩემპიონატში ეს მეორედ მოიპოვა ვერცხლის მედალი. ეს მოწმობს, რომ ოდესელი მოჭადრაკე დამკვიდრდა უძლიერეს საბჭოთა დიდოსტატთა სიაში. ტუკმაკოვმა ტურნირი მშვიდად, პრაქტიკულად, ამავე დროს, გაბედულად და ენერგიულად ჩაატარა.

შეჯიბრებამ ბევრი შემოქმედებითი მიღწევა მოგვიტანა. ეს იყო სადებიუტო სიახლეებიც, თავიდან ბოლომდე ბრწყინვალედ ნათამაშევი პარტიებიც და დახვეწილი ენდშპილებიც.

# ლიდერობს კოზლოვსკაია

**მოსკოვი, 24 დეკემბერი.** აქ მიმდინარეობს სამი მოჭადრაკე ქალის ორწრიანი მატჩ-ტურნირი მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის ორი საგზურისთვის. დღეს ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი ნ. კონოპლიოვა და პიატიგორსკელი ვ. კოზლოვსკაია. პარტია ყაიმით დამთავრდა.

ახლა კოზლოვსკაიას 2 ქულა აქვს 3-დან. კონოპლიოვამ 1,5 ქულა დააგროვა, ლენინგრადელმა ი. ლევიტინამ კი 0,5.

**ეტიუდი**

**რ. თავარიანი** (თბილისი)



თეთრები ყაიმს აღწევენ

**ამოცანა**

**ნ. ფანჯაკიძე** (წალვერი)



შამათი სამ სვლაში

„ლელოს" 24 დეკემბრის ნომერში რ. თავარიანის ეტიუდის მაგიერ შეცდომითაა დასტამბული ნ. ფანჯაკიძის ამოცანა.







სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

# წყვილეში ურთიერთობას არკვევენ

ბიჭიაშვილი თუ სიდიაკინი, საკანდელიძე თუ ბლიკი, ჩიხლაძე თუ ავრაამოვი — აი, სამი ძირითადი მომენტი, მთავარი რგოლი წინააღმდეგობათა გრძელ ჯაჭვში, რომელსაც ასე თუ ისე ნათელი უნდა მოეფინა მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა ურთიერთობისთვის მეორე წრის პირველ მატჩში. სიდიაკინი მოსკოველთა მწვრთნელმა ე. ალექსეევმა მე-14 წუთზე გაიყვანა თამაშიდან. ეს თამამი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მწვრთნელს, როგორც ჩანს, სხვა გზა არ ჰქონდა: სიდიაკინმა ვერაფერი გააწყო ბიჭიაშვილის წინააღმდეგ, რომელსაც პარტნიორები წამდაუწუმ უქმნიდნენ ხელსაყრელ პოზიციას სროლისთვის. სიდიაკინი სოკოლოვმა შეცვალა, მაგრამ არც ეს ნაბიჯი გამოდგა ეფექტური.

სხვა წყვილები? საკანდელიძეცა და ჩიხლაძეც გაძლიერებული ყურადღების ქვეშ იყვნენ. ასეთ რადიკალურ ზომას მუდამ ორი მხარე აქვს. დაცვაში იგი, რა თქმა უნდა, ეფექტურია, მაგრამ თავდასხმის ბრძოლისუნარიანობას ერთიორად აქვეითებს — ბლიკსა და ავრაამოვს არ ეცალათ აქტიური ოპერაციებისთვის და შეტევებშიც მხოლოდ ეპიზოდურად მონაწილეობდნენ.

ფარის უსაფრთხოება კალათბურთში ცალკე თემაა, ერთ-ერთი საკვანძო მომენტი, და აი, აქაც თბილისის დინამოელები უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ — ძიძიგურმა და პულავსკიმ ეფექტურად შეავსეს ბოლოშევისთვის ფარქვეშ სპეციალურად დატოვებული ვაკუუმი. წრე თითქოს ბოლომდე შეიკრა. არ დარჩა არც ერთი სუსტი რგოლი, ადგილი, მაგრამ ბოლომდე და უნაკლოდ ამ სქემის განხორციელება რთული გამოდგა: იყო დასანანი შეცდომები, ცალკეული სისუსტეები, უზუსტობანი, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს ეს მდგომარეობა გაათანაბრა. და მაინც, პირველი ტაიმის მიხედვით (იგი თბილისელებმა 3 ქულით მოიგეს — 42:39) პერსპექტივა მასპინძლებისთვის უფრო ხელსაყრელი ჩანდა.

შესვენების შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, წამყვანი ფაქტორი გახდა... დრო. 22-ე წუთზე ბოლოშევმა მეოთხე ჯარიმა მიიღო. 3 წუთის შემდეგ იგივე ბედი გაიზიარეს ძიძიგურმა და პულავსკიმ. ორივე მხარეს დაეტყო ნერვიულობა და წამყვან მოთამაშეთა ბოლომდე შენარჩუნების მიზნით ისინი სასწრაფოდ განთავისუფლდნენ შავი სამუშაოსგან. ეს იყო პირველი კრიტიკული მომენტი, რომელიც მოსკოველებმა უკეთ გამოიყენეს. რის ვაი-ვაგლახით სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა (51:50 თბილისელთა სასარგებლოდ). მაგრამ... აქვე ბოლოშევმა დატოვა მოედანი და თბილისელებმაც შვებით ამოისუნთქეს. სულ რაღაც ორ-სამ წუთში საკანდელიძის აქტიური ჩარევის შედეგად მასპინძლები 9 ქულით დაწინაურდნენ.

მაგრამ საბოლოო გამარჯვებაზე ფიქრი ჯერ კიდევ ნაადრევი იყო, მით უმეტეს, თბილისელებმა ზედიზედ რამდენიმეჯერ ვერ გამოიყენეს ჯარიმა და მეტოქეს ერთხელ კიდევ მიეცა იმედი. ერთხელ და საბოლოოდ. ენდშპილში მასპინძლების უპირატესობა ცხადი გახდა და მათ სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი საჭირო ქულა ჩაიწერეს — 81:72.

სტუმრებიდან ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები სოლოგუბი და სიდიაკინი იყვნენ — 13-13 ქულა. ბოლოშევმა თავის კოლექტივს 12 ქულა შესძინა. თბილისელთა შორის ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ბიჭიაშვილმა (19), ქორქიამ (16) და პულავსკიმ (14).

დუბლშემადგენლობათა შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს — 65:62. საკავშირო პირველობაში ორგზის გამარჯვებულის, თბილისის დინამოელთა რეზერვის წაგება ასე თუ ისე გასაგებია: გუნდი დატოვა ბევრმა პერსპექტიულმა კალათბურთელმა (ისინი „ბურევესტნიკში" გადავიდნენ) და ახლა შემადგენლობის სტაბილიზაციის პროცესი მიმდინარეობს. მაგრამ ეს შედეგი მაინც გაუგებარი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ტაიმი თბილისელებმა მთელი 10 ქულით მოიგეს — 41:31.

ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათებზე: ხულ მალე ისინი თამაშში ჩაებმებიან. მანამდე კი ძიძიგური, ჩიხლაძე და სოკოლოვი ყურადღებით აკვირდებიან პარტნიორთა მოქმედებას; თბილისელთა ვეტერანი უგრეხელიძე გზას იკაფავს მეტოქის კალათისკენ.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## გაიმარჯვეს სტუმრებმა

კიევი, 24 დეკემბერი. დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სტროიტელი" და ცსკა. გაიმარჯვეს მოსკოველმა კალათბურთელებმა — 89:73 (44:35).

# საინტერესოდ, მიმზიდველად

კვირა საღამოს მილიონობით ტელემაყურებელი „დაესწრო" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული განყოფილებისა და ტელესაჭადრაკო ჟურნალ „სამორინეს" მიერ გამართულ საჭადრაკო ბლიცტურნირს, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის 14 ცნობილმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა.

ბრძოლა თავიდანვე მძაფრად წარიმართა. მოსაფიქრებელი დრო ცოტა იყო — თითოეულ მეტოქეს პარტიაზე 5 წუთი ეძლეოდა. ამან ხიმწვავე შემატა თამაშს.

VII ტურამდე ერთპიროვნულ ლიდერობას ძირითადად ბ. გურგენიძე და რ. ჯინჯიხაშვილი ეცილებოდნენ ერთმანეთს. მერე ოსტატი დაწინაურდა და ბოლომდე წინ მიიწევდა. გურგენიძეს ფინიშზე დაღლა დაეტყო. მას ე. გუფელდმა გაუსწრო და ა. ბუხლაევი დაეწია.

ტურნირის შედეგები:

I. რ. ჯინჯიხაშვილი — 12 ქულა, II. ე. გუფელდი — 9,5, III-IV. ა. ბუსლაევი, ბ. გურგენიძე — 8,5-8,5, V. გ. ციხელაშვილი — 7, VI. ა. მოკურავა — 6,5, VII-IX. ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ჯ. უბილავა — 5,5-5,5, X-XI. გ. გამრეკელი, ზ. მიქაძე — 5-5, XII-XIII. თანაზ გიორგაძე, ნ. ჩახოიანი — 4,5-4,5, XIV. გ. ჩაქავარიანი — 3,5.

საინტერესოა შემდეგი მონაცემებიც: ტურნირში, რომელიც ოთხ საათს მიმდინარეობდა, 91 პარტია გათამაშდა, თეთრებმა 44 პარტია მოიგეს, შავებმა — 36. 11 პარტია ყაიმით დამთავრდა. დაუმარცხებელი არავინ დარჩენილა. მხოლოდ ჯინჯიხაშვილს არა აქვს არც ერთი ყაიმი. ციხელაშვილმა პირველ ექვს ტურში მხოლოდ 1 ქულა დააგროვა, მომდევნო შვიდ ტურში კი 6!

ბლიცპარტიების თამაში ყველას როდი ეხერხება. ბევრი ცნობილი მოჭადრაკე (მ. ბოტვინიკი, ი. ბონდარევსკი) საერთოდ თავს არიდებს მათ. მსგავს თამაშში წარმატებას ფხიზელი გონება, სწრაფი რეაქცია, მდიდარი ინტუიცია, აუღელვებლობა და სპორტული ფორმა განსაზღვრავს. ნ. გაფრინდაშვილსა და ნ. ალექსანდრიას, რომლებიც წარმატებით და სიამოვნებით მონაწილეობენ ბლიცტურნირებში, არც ერთი ეს თვისება არ აკლიათ, ოღონდ ამჯერად აშკარად დაღლილი ჩანდნენ. ისინი ხომ ეს-ესაა დაბრუნდნენ ვრნიაჩკა-ბანიიდან, სადაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასისთვის იბრძოდნენ.

შედეგების მიუხედავად, თამაშით ყველა მონაწილე კმაყოფილი იყო. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ ტელევიზიის სპორტის მესვეურებმა ბლიცტურნირი ტრადიციად აქციონ.

პირველ სამ ადგილზე გასულნი პრიზებით დაჯილდოვდნენ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები ძვირფასი ნაშუშევრებით დააჯილდოვა. ყველა მონაწილეს სამახსოვრო სიგელი გადაეცა.

თ. გიორგაძე,
ბლიცტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

## [illegible]-72

● ალმა-ათა, 24 დეკემბერი. ჩიმბულაკის მიდამოებში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი სამთოსათხილამურო სამჭიდში. ორ დღეს ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდნენ მოსკოველები გ. შიხოვა და ა. გოლუბკოვი. პირველ დღეს შიხოვამ ყველაზე სწრაფად გაიარა სწრაფდაშვების ტრასა (2400 მ, სიმაღლეთა სხვაობა 500 მ, 22 კარი) — 2.01,84. მეორე დღეს იგი საუკეთესო იყო გიგანტურ სლალომშიც (1554 მ, სიმაღლეთა სხვაობა 470 მ, 51 კარი) — 1.49,32. ვაჟთა სწრაფდაშვებაში გამარჯვებულმა გოლუბკოვმა 2.01,61 აჩვენა. ტრასის სიგრძე 2800 მ იყო (სიმაღლეთა სხვაობა 800 მ, 25 კარი).

● სვერდლოვსკი, 24 დეკემბერი. უქტუსის მთებში სათხილამურო ორჭიდის საუკეთესო ოსტატთა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გაიმარჯვა 30 წლის პერმელმა სპორტსმენმა ა. ნოსოვმა. პირველ დღეს ტრამპლინიდან ხტომაში მან მხოლოდ მერვე შედეგს მიაღწია (ნახტომები — 75 და 72 მ, 200,4 ქულა), მაგრამ 15-კილომეტრიან რბოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა — 57,03. საბოლოოდ ნოსოვს 416,05 ქულა დაუგროვდა. 20 წლის ფ. ზაკიროვმა (უფა) და 18 წლის ვ. კოპაევმა (ლენინგრადი), რომლებსაც ტრამპლინიდან ხტომაში შესაბამისად I და II ადგილები ჰქონდათ, რბოლა საკმაო წარმატებით ჩაატარეს (შესაბამისად — 59,28 და 58,58) და საბოლოოდ II-III ადგილები გაიყვეს — 413,4 ქულა თითოეულს.

● კიროვსკი (მურმანსკის ოლქი), 24 დეკემბერი. სსრ კავშირის საუკეთესო „მფრინავმა მოთხილამურეებმა" წლევანდელი სეზონის სტარტზე აქ კიდევ ერთი შეჯიბრება დაიწყეს. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა გორკელმა ტერიშჩევმა, რომლის ნახტომები 69,5 და 71 მეტრს უდრიდა. II-III ადგილები გაიყვეს მოსკოველმა ს. ბოჩკოვმა და ლენინგრადელმა ა. უეგლანოვმა. ისინი 68,5 და 69 მეტრზე გადახტნენ და ერთნაირი შეფასებაც ხვდათ (225,8 ქულა), რაც იშვიათი შემთხვევაა სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა შეჯიბრებების პრაქტიკაში.

# მძლეოსნობასა და სროლაში

სოხუმის „დინამოს" სტადიონზე და დოსააფის სასროლეთზე ჩატარდა აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მძლეოსნობასა და ტყვიის სროლაში. სარბიელზე გამოვიდნენ ფიზკულტურის გაერთიანებული კოლექტივების ნაკრები გუნდები.

პირველობისთვის იბრძოდნენ აფკავშირის, ვაჭრობის სამინისტროს, სოხუმმრეწვავაჭრობის, სოხუმის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტისა და პროფესიული სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის ნაკრები გუნდები.

მძლეოსნობაში I ადგილი დაიკავა პროფესიული სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის ნაკრებმა. II ადგილზე არიან სოხუმმრეწვავაჭრობის მძლეოსნები, III — სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის სპორტსმენები.

მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოლილა სროლაში ყველას აჯობეს პროფესიული სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის ფიზკულტურელებმა. II ადგილი დაიკავა სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის კოლექტივმა, III — ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

ჰ. ჟორდანია.

სოხუმი.

# „სპორტის დედოფლის" რაინდებთან

დარ-ეს-სალამი, 23 დეკემბერი. აფრიკის მძლეოსნებმა, რომლებიც აფრიკული თამაშებისთვის (1973 წლის იანვარი, ნიგერიის დედაქალაქი ლაგოსი) ემზადებიან, ტანზანიის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაში მაღალ შედეგებს მიაღწიეს. ახალგაზრდა ფილბერტ ბეიმ (ტანზანია) 1500 მ 3 წუთსა და 38,9 წამში გაირბინა. კენიელმა ფატველ კიმეიომ ეროვნული რეკორდი დაამყარა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,7 წამი (მეორე იყო 400 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი, უგანდელი ჯონ აკიი-ბუა — 13,8). 3 ათას მეტრზე წინაღობებით რბენაში მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა კიპჩოგო კეინომ (კენია) 800 მეტრზე რბენა მოიგო — 1.48,7.

ლუვენი, 23 დეკემბერი. ბელგიის ამ ქალაქის შემოგარენში გამართული საერთაშორისო კროსი მიუნხენის ოლიმპიადაში 1500 მეტრზე ფინალური გარბენის უიღბლო მონაწილემ, ტანზანიელმა ელენ ტიტელმა (გფრ) მოიგო. 3,5-კილომეტრიანი დისტანცია მან 12 წუთსა და 52 წამში დაფარა. კროსში ქალა მოსინჯა 400 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ფრანგმა კოლეტ ბესონმაც, მაგრამ მხოლოდ V ადგილი ხვდა.

როტერდამი, 23 დეკემბერი. ევროპის მძლეოსანთა ზამთრის IV ჩემპიონატმა, რომელიც 1973 წლის 10-11 მარტს გაიმართება ჰოლანდიის ამ ქალაქის დარბაზში, უკვე დაამყარა პირველი რეკორდი: 31 მოწვეული სახელმწიფოდან განაცხადები ჯერჯერობით ოცმა გამოგზავნა, მაგრამ მომავალი პირველობის მონაწილეთა საერთო რაოდენობამ უკვე მიაღწია 340-ს (წინა პირველობების რეკორდია 237 სპორტსმენი სოფიაში, 1971 წელს). ყველაზე „გრძელი" განაცხადი დასავლეთ გერმანიამ წარმოადგინა — 75 მძლეოსანი და ოფიციალური პირი.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უფ 10348